

ჯილდოს ორგანიზატორები და მხარდაჭერები

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო დაწესდა კოალიციის „განათლება ყველასათვის - საქართველო“ ინიციატივით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობით.

ჯილდოს მხარდაჭერები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინა გუდავაძე-პატარკაციშვილი და ლიბერთი ბანკი.

ჯილდოს საინფორმაციო მხარდაჭერები არიან ტელეკომპანია “იმედი” და “საზოგადოებრივი მაუწყებელი”.



მომავალი განათლებათაში

რა არის მასწავლებლის გლობალური ჯილდო?

The Global Teacher Prize

კამპანიის მიზანია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და აღიარება, საუკეთესო მასწავლებელთა გამოვლენა, დაფასება და მათი საქმიანობის სხვებისათვის გაზიარება. ეს არის 1 მილიონი დოლარის ოდენობის ყოველწლიური ჯილდო, რომელიც გადაეცემა გამოჩენილ მასწავლებელს პროფესიაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის. კამპანია მოქმედებს 2015 წლიდან. კამპანიას მხარდაჭერას უსხვადებენ განათლების სფეროს წამყვანი ექსპერტები, საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები, ორგანიზაციები და სახელმწიფოები.



**GLOBAL
TEACHER
PRIZE**
VARKEY FOUNDATION

დეტალური ინფორმაცია გლობალური ჯილდოს შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე:

www.globalteacherprize.org



მასწავლებლის ეროვნული ჯილდო



მომავალი განათლებათაში

www.tprize.ge

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო საპარტოველო

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო - საქართველო“ არის გლობალური კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიის პოპულარიზაციას, პრესტიჟის ზრდას, წარმატებული მასწავლებლების გამოვლენასა და საზოგადოებისათვის მათ წარდგენას.

საქართველოში მასწავლებლის ეროვნული ჯილდო უკვე მეორედ ტარდება.



ეროვნულ დონეზე გამარჯვებული ჯილდოს სახით მიიღებს **10 000 ლარს**

ვის შეუძლია ეროვნულ კონკურსში მონაწილეობა?

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მოქმედ მასწავლებელს, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო ან კერძო ავტორიზებულ დაწესებულებაში.

მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა მასწავლებლებმა უნდა შეავსონ სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

www.tprize.ge/application

მასწავლებლებმა, კრიტერიუმების შესაბამისად, უნდა წარმოადგინონ თავიანთი ისტორია და მტკიცებულებებზე დაფუძნებული შესაბამისი ინფორმაცია.

ნომინაცია

გარდა თვითნომინირებისა, მონაწილეობის მისაღებად,

სკოლებს ექნებათ შესაძლებლობა წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე მასწავლებელი.

ნომინაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე

www.tprize.ge/application



შერჩევის კრიტერიუმები

ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მონაწილეობის სწავლის შედეგების დინამიკა;
- სწავლების ინოვაციური და ეფექტური მიდგომების გამოყენება;
- ზოგადსაგანმანათლებლო მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და პრინციპების სწავლება;
- საზოგადოებრივი აღიარება და სამოქალაქო აქტივობა;
- პროფესიული განვითარება და გამოცდილების გაზიარება.

ბენიშნელოვანი თარიღები:

1 მარტი
აპლიკაციების/განცხადებების მიღების გამოცხადება

20 აპრილი
განაცხადების მიღების ბოლო ვადა

25 აპრილი
კონკურსის I ეტაპი - განაცხადების ტექნიკური შემოწმება

15 ივნისი
კონკურსის II ეტაპი - საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა

1 სექტემბერი
კონკურსის III ეტაპი - ხუთი ფინალისტის გამოვლენა

5 ოქტომბერი
გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოების ცერემონია